

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2018 წლის .... ოქტომბერი

ქალაქი ბათუმი

### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქალაქ ბათუმში დ. თავდადებულის ქ. №7/რუსთაველის ქ. №17-ში მდებარე სახლზე ღვაწლმოსილი არქიტექტორის, ბოგდან კირაკოსიანის ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალური დაფის განთავსების შესახებ

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების, „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის 5–7 დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქის–ბათუმის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ქალაქ ბათუმში დ. თავდადებულის ქ. №7/რუსთაველის ქ. №17-ში მდებარე სახლზე ღვაწლმოსილი არქიტექტორის, ბოგდან კირაკოსიანის ხსოვნის უკვდავსაყოფად განთავსდეს მემორიალური დაფა.
2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს (ლ.კომახიძე) წინამდებარე განკარგულების შესაბამისად განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე